ოქმი N9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 31 ივლისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა:

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: ლ. შამათავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შესრულების შედეგების შესახებ“ ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. გოგოლაძე, შ. ჭილაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კ. ნასარაია - გამომსვლელი დაინტერესდა ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში კვების მუხლში ეკონომია რატომ იყო და ბავშვთა კვების ხარჯები ხომ არ შემცირებულა? ასევე დაინტერესდა მერის ბრძანების შესაბამისად, პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა" ასიგნებებში 2400 ლარით, რატომ შემცირდა ქვეპროგრამა „ავადმყოფთა სოციალური დახმარება" ასიგნება მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) დაფინანსება, არადა მისი თქმით არჩევნებამდე მოსახლეობას პირდებოდნენ მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსებას.

დ. ჭოჭუა - რაც შეეხება სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში კვების მუხლში ეკონომიას, ეს ეკონომია არ არის განპირობებული ბავშვთა კვების რაციონის შემცირებით, ეს განაპირობა აღსაზრდელთა გამოუცხადებლობამ საბავშვო ბაღებში.

შ. კანკია - მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსის განმარტებით, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსების შემცირება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ეს დაფინანსება განკუთვნილი იყო შ.შ.მ. პირების გამოკვლევებისთვის, რადგანაც მათი მხრიდან მომართვიანობა არ ყოფილა, გამომდინარე აქედან წარმოიქმნა შესაბამისი ეკონომია.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხდება 326,1 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე გადიდდა ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტები"-დან (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 200,0 ათასი ლარით და მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. ნაშთის 326,1 ათასი ლარი მიიმართება შემდეგი ღონისძიებების დასაფინასებლად: 276,1 ათასი ლარი - პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის" ასიგნებებზე, აქედან, 4,1 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე, 7,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების

მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე, 265,0 ათასი ლარი პროგრამის ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება“ ასიგნებაზე. 50,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,განათლება“ ასიგნებაზე, პროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება“. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, შემოსულობების გეგმა შეადგენს 10979,9 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. გოგოლაძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N31 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტიდან მიღებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და იმავე დასკვნით მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტი მომზადებულია ინდივიდულურ-სამართლებრივი აქტის განკარგულების სახით: „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილია მიაჩნია წარმოდგენილი სახით მათი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. გოგოლაძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N32 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ, როგორ ხორციელდებოდა ბენეფიციართა რეგისტრაცია მერის მიერ და რა კრიტერიუმით ხდებოდა მათი შერჩევა.

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ უმწეოთა სასადილოში ბენეფიციარად რეგისტრირდებოდა პირი, რომლის ოჯახიც აღრიცხული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა ფულად დახმარებას, ასევე მერს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ ის ვერ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნული პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ასევე მერი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მეოთხე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ან შევსებულია ბენეფიციართა საერთო რაოდენობა.

მ. ქარდავა - გამომსვლელის განცხადებით, მისი აზრით მუნიციპალიტეტის მერი ვერ განსაზღვრავს პირის სოციალურ მოთხოვნებს და არასწორი იქნება მისი მხრიდან პირის ასე ზერელედ ბენეფიციარად რეგისტრაცია ან რეგისტრაციეზე უარის თქმა.

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რო მერიის სოციალური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან მოხდება ადგილზე გადამოწმება, პირის სოციალური მდგომარეობის შესახებ და მუნიციპალიტეტის მერი, ამის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თაობაზე.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ხორციელდებოდა თუ არა ბენეფიციარებისთვის საკვების მიტანა ადგილზე სოფლების მიხედვით?

შ. კანკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ბენეფიციარებისთვის საკვების ადგილზე მიტანა ხორციელდება მარტო ქალაქის მაცხოვრებელთათვის, თუ მას არ შეუძლია უმწეოთა სასადილოში მისვლა საკვების მისაღებად, მათთვის საკვების გატანა ხდება ოჯახის წევრის მიერ.

ე. ჯობავა - გამომსვლელის განცხადებით, წინა სხდომებზე ოპოზიციონერი საკრებულოს წევრის მხრიდან დაისვა სამართლიანი შენიშვნა, თუ პიროვნება ვერ მოდიოდა უმწეოთა სასადილოში და მისთვის საკვები გაჰქონდა სხვა პიროვნებას, ვინმეს მიერ

კონტროლდებოდა თუ არა საკვები მიდიოდა თუ არა ბენეფიციართან და ასეთი შემთხვევები ბევრი იყო თუ არა სასადილოში.

ა. კვირკვაია - უმწეოთა სასადილოს პასუხისმგებელი პირი - განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევები, როცა პირს ადგილზე მოსვლა არ შეუძლიათ ბევრი არ არის და მათთვის საკვები გააქვთ, ოჯახის წევრს ან ახლობელს (რომელსაც ბენეფიციარი მიუთითებს). საკვების გატანაზე პასუხისმგებელ პირი, შესაბამის უწყისზე აწერს ხელს.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარის განცხადებით მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, უმწეოთა სასადილოდან ბენეფიციარისთვის სხვა პიროვნებისგან საკვების გატანის და ადგილზე მიტანის საკითხი.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა:

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: ლ. შამათავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი)

მოისმინეს: ე. ჯობავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის

გენდერული საბჭოს სხდომა გაიმართა 2018 წლის 5 ივლისს, სადაც განხილულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის პროექტიც მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მხარდაჭერით. წარმოდგენილ განკარგულების პროექტში გაწერილია კანონით გათვალისწინებული ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გენდერულ ჭრილში, გეგმით დადგენილ პერიოდში. მომზადებული განკარგულების პროექტი ფინანსური თვალსაზრისით შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. გოგოლაძე)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: თ. გულუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შესრულების შედეგების შესახებ“ ანგარიშის მოსმენა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი; თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შესრულების შედეგების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ კომუნალური შემოსავლების ამოღების რაღაც მეთოდი უნდა გამოიძებნოს, რადგანაც თითქმის არ იხდიან აღნიშნულ გადასახადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2018 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 10779,9 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 12682,2 ათასი ლარი შეადგინა. 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 50,6 %-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 5800,0 ათასი ლარიდან შემოსულია 3511,1 ათასი ლარი (60,5%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 4443,0 ათასი ლარიდან მიღებულია 1623,8 ათასი ლარი (36,5%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 446,9 ათასი ლარიდან შემოსულია 303,5 ათასი ლარი (67,9%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 90,0 ათასი ლარიდან შემოსულია 21,4 ათასი ლარი (23,8%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-ივნისის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 40,1% (გეგმა 12682,2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 5079,9 ათასი ლარი). გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგებს აფასებს დამაკმაყოფილებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 25

დადებითი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. გოგოლაძე, თ. გულუა, ა. ხუნჯუა, ლ, ცატავა)

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების შედეგების შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. თენგიზ აბაკელია
8. ბექა მამაცაშვილი
9. კახა ლატარია
10. მერაბ ფილიპია
11. თემურ გულუა
12. შადიმან ჭილაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცილავა
25. გიგა ნასარაია
26. კობა გოქაძე
27. გოჩა ჯობავა
28. . მერაბ ნადარაია
29. რამინ ხილაძე